1

ეკონომიკის ათი პრინციპი

ქეთევან გოგოჭური

თბილისი, 2017

ეკონომიკა

სიტყვა *ეკონომიკა* ბერძნულია და ნიშნავს “ადამიანს, რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება”.

ეკონომიკის ათი პრინციპი

- ოჯახის მსგავსად, საზოგადოებაც მრავალი არჩევანის წინაშე დგას:
  - ვინ რა სამუშაო შეასრულოს?
  - რა პროდუქტები და მომსახურება უნდა იწარმოოს და რა რაოდენობით?
  - რა რესურსები უნდა იქნას გამოყენებული წარმოების პროცესში?
  - რა ფასად უნდა მოხდეს წარმოებული პროდუქციის გაყიდვა?

ეკონომიკის ათი პრინციპი

შეზღუდული რესურსები:

- საზოგადოების რესურსების მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან რესურსები შეზღუდულია.
- *შეზღუდულობა* ნიშნავს, რომ საზოგადოებას იმაზე ნაკლების შეთავაზება შეუძლია, ვიდრე ხალხს სურს.

ეკონომიკის ათი პრინციპი

ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ როგორ მართავს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს.

ეკონომიკის ათი პრინციპი

- როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს?
  - ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან.
  - ნივთის დანახარჯი არის ის, რასაც ვთმობთ ამ ნივთის ფლობისათვის.
  - რაციონალური ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას ზღვრულ ანალიზს იყენებს.
  - ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ.

ეკონომიკის ათი პრინციპი

- როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები ერთმანეთთან?
  - ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობის გაუმჯობესება.
  - ბაზრები, როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა.
  - მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება.

ეკონომიკის ათი პრინციპი

- როგორ მუშაობს ეკონომიკა, როგორც მთლიანი სისტემა?
  - ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე.
  - ფასები იზრდება, როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს.
  - მოკლევადიან პერიოდში საზოგადოება დგას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე.

“უფასო სადილები არ არსებობს!”



იმის მისაღებად, რაც მოგვწონს, როგორც წესი, უნდა დავთმოთ სხვა რამ, რაც აგრეთვე მოგვწონს.

- იარაღი vs. კარაქი
- საკვები vs. ტანსაცმელი
- დასვენება vs. მუშაობა
- ეფექტიანობა vs. თანასწორობა

გადაწყვეტილების მიღება ერთი მიზნის მეორესთან დაპირისპირებას მოითხოვს.

- ეფექტიანობა v. თანასწორობა
  - *ეფექტიანობა* საზოგადოების თვისება, მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგებს არსებული შეზღუდული რესურსებიდან.
  - *თანასწორობა* საზოგადოების წევრებს შორის ეკონომიკური კეთილდღეობის სამართლიანად გადანაწილება.

- გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს კონკრეტული ქცევის დანახარჯებისა და სარგებლობების შედარებას.
  - გადაწყვეტილება კოლეჯში წასვლასა და მუშაობას შორის.
  - გადაწყვეტილება ლექციაზე დასწრებასა და სახლში დაძინებას შორის.
- *ალტერნატიული დანახარჯი* ის რაც უნდა დავთმოთ რაიმეს მისაღებად.



ლეიკერსის მოთამაშე კობი ბრაიანტმა კოლეჯში სწავლის გაგრძელებაზე უარი თქვა და პროფესიული კალათბურთი აირჩია. ის NBA-ს ერთ-ერთი მოწინავე მოთამაშე გახდა და მილიონობით დოლარი გამოიმუშავა.

- *ზღვრული ცვლილებები* - არსებულ გეგმაში მცირე ცვლილებების შეტანა.

- დანახარჯებისა თუ სარგებლობების ზღვრული ცვლილება ახდენს ადამიანების გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას.

რაციონალური ადამიანი მოქმედებას იწყებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მოქმედების ზღვრული სარგებლობა ზღვრულ დანახარჯებზე მეტია.

- ქვეყნები, როგორც ოჯახები, ბევრს იგებენ ერთმანეთთან ვაჭრობით.
- ვაჭრობა ქვეყნებს საშუალებას აძლევს აკეთონ ის რაშიც საუკეთესონი არიან და მიიღონ უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება.

- *საბაზრო ეკონომიკა* - ეკონომიკური სისტემა, რომელიც ანაწილებს რესურსებს მრავალი ფირმისა და საოჯახო მეურნეობის დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მეშვეობით საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე ამ ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების ურთიერთქმედების დროს.
  - საოჯახო მეურნეობები წყვეტენ, რომელ ფირმაში იმუშაონ და რა შეიძინონ მიღებული შემოსავლით.
  - ფირმები წყვეტენ ვინ დაიქირაონ და რა აკეთონ.

- ადამ სმითის დაკვირვებით საბაზრო ურთიერთქმედებაში საოჯახო მეურნეობები და ფირმები ისე იქცევიან, თითქოს მათ “უხილავი ხელი” წარმართავდეს და სასურველ საბაზრო შედეგებამდე მიჰყავდეს.
  - იმის გამო, რომ საოჯახო მეურნეობები და ფირმები ფასებს ითვალისწინებენ, ყიდვის და გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ნებსით თუ უნებლიედ ითვალისწინებენ თავიანთი ქმედების სოციალურ სარგებლობასაც და დანახარჯებსაც.
  - ფასების მხედველობაში მიღებით გადაწყვეტილებების ეს ინდივიდუალური მიმღებები ისეთ შედეგებს აღწევენ, რომლებიც ხშირად ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას.

- *საბაზრო ჩავარდნა* სიტუაცია, როდესაც ბაზარი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიანად გადანაწილებას.
- როდესაც ხდება საბაზრო ჩავარდნა მთავრობას შეუძლია ჩაერიოს და წაახალისოს ეფექტიანობა ან/და თანასწორობა.

- საბაზრო ჩავარდნის შესაძლო მიზეზებია:
  - *გარეგანი ეფექტი*, რომელიც არის ერთ პირის ქმედების გავლენა მეორე პირის კეთილდღეობაზე.
  - *საბაზრო ძალაუფლება*, რომელიც გულისხმობს ერთი ადამიანის ან ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის უნარს, იმოქმედოს საბაზრო ფასებზე.

- ცხოვრების დონის გაზომვა შესაძლებელია სხვადასხვა მონაცემების მიხედვით:
  - საშუალო შემოსავლების შედარებით.
  - საქონლისა და მომსახურების მწარმოებლურობის უნარის მიხედვით.

მწარმოებლურობა - ერთ სამუშაო საათში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა.

- ინფლაცია ნიშნავს ეკონომიკაში ფასების საერთო დონის ზრდას.
- ინფლაციის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ფულის მასის ზრდა.
- როდესაც მთავრობა მიმოქცევაში უშვებს დიდი რაოდენობით ფულს, ეს იწვევს ფულის ღირებულების შემცირებას.

- ფილიპსის მრუდი გვიჩვენებს დამოკიდებულებას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის :

⇩ინფლაცია ⇨ ⇧უმუშევრობა

ეს არის მოკლევადიანი დამოკიდებულება!

შეჯამება

- როდესაც ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას ისინი დგანან ალტერნატივების წინაშე.
- ნივთის დანახარჯი არის ის, რასაც ვთმობთ ამ ნივთის ფლობისათვის.
- რაციონალური ადამიანებს ზღვრული შემოსავლებისა და ზღვრული დანახარჯების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებებს.
- ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ.

შეჯამება

- ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ბაზარი, როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა.
- საბაზრო ჩავარდნის პირობებში, მთავრობას ბაზარზე ჩარევით, შეუძლია გააუმჯობესოს მთლიანი ეკონიმიკური სარგებელი.

შეჯამება

- პროდუქტიულობა განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრების დონეს.
- ფულის მასის ზრდა არის ინფლაციის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი წყარო.
- მოკლევადიან პერიოდში საზოგადოება დგას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე.